

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

შორენა ქართველიშვილი

ასთმის, როგორც ქრონიკული დაავადების, ზეგავლენა
პაციენტისა და მისი ოჯახის სიცოცხლის ხარისხზე

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

მედიცინის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

თბილისი

2022

Tbilisi State Medical University

Shorena Kartvelishvili

**Impact of asthma as a chronic disease on the quality of life of the
patient and his family**

Thesis of Scientific study for the Academic Degree of PhD in Medicine

Tbilisi

2022

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინისა და სტომატოლოგიის საერთაშორისო ფაკულტეტის პედიატრიის დეპარტამენტი.

თემის სამეცნიერო ხელმძღვანელი:

ივანე ჩხაიძე - თსსუ მედიცინისა და სტომატოლოგიის საერთაშორისო ფაკულტეტის პედიატრიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი. პროფესორი.

ექსპერტები:

ქეთევან მაჭავარიანი - თსსუ ალერგოლოგიისა და კლინიკური იმუნოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი.

მაია ხერხეულიძე - თსსუ მედიცინის ფაკულტეტის პედიატრიის დეპარტამენტის პროფესორი. მედიცინის დოქტორი.

ეკატერინე უბერი - თსსუ პროფესორი. მედიცინის დოქტორი.
თსსუ გ.ჟვანიას სახ. პედიატრიის აკად. კლინიკის თერაპიის სამსახურის უფროსი.

დისერტაციის წინასწარი განხილვა (აპრობაცია) შედგა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინისა და სტომატოლოგიის საერთაშორისო ფაკულტეტის პედიატრიის დეპარტამენტის ბაზაზე, მ.იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალურ საავადმყოფოში (10 ნოემბერი, 2022 წელი, სხდომის ოქმი #1)

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში (ვაჟა-ფშაველას გამზირი 29)

დისერტაციის დაცვა შედგება _____ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ადმინისტრაციული კორპუსის I სართულზე. სადისერტაციო დარბაზი (ვაჟა-ფშაველას გამზირი 33)

Tbilisi State Medical University. International Faculty of Medicine and Stomatology.
Department of Pediatrics

Scientific Tutor of Research:

Ivane Chkhaidze – Head of the Pediatrics Department, International Faculty of Medicine and Stomatology of the Tbilisi State Medical University.
MD. PhD. Professor.

Experts:

Ketevan Machavariani -Department of the Allergology and Clinical Immunology of the TSSU.
Assoc. Professor

Maia Kherkheulidze - Department of the Pediatric, Faculty of Medicine of the TSSU
MD. PhD. Professor

Ekaterine Uberi - TSSU Professor. MD. PhD
Head of therapeutic department of G.Zhvania TSSU pediatric clinic.

Dissertation preliminary review (approbation) took place at the M. Iashvili Central Children's Hospital - at the base of the Pediatrics Department, International Faculty of Medicine and Stomatology, Tbilisi State Medical University (November 10, 2022, Protocol #1)

The dissertation is available in the library of Tbilisi State Medical University (29, Vazha-Pshavela Avenue)

Maintain a Thesis will take place on the 1st floor of the administrative building of Tbilisi State Medical University. Dissertation Hall (33, Vazha-Pshavela Avenue)

I. შესავალი

8 - 11

- 1.1. კვლევის აქტუალობა (საკვლევი პრობლემატიკა)
- 1.2. სამედიცინო და სამეცნიერო ღირებულება
- 1.3. სამეცნიერო სიახლე
- 1.4. კვლევის მიზანი
- 1.5. კვლევის ამოცანები

II. სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა

12 – 33

- 2.1. ასთმა: განმარტება
- 2.2. ასთმა: დიაგნოზი
- 2.3. ასთმა: რისკ-ფაქტორები
- 2.3.1 ჯანმრთელობისა და ასთმის სოციალური დეტერმინანტები
- 2.4. ასთმა და QoL

III. კვლევის მასალის და მეთოდოლოგიის აღწერა

34 - 38

- 3.1. კვლევის მეთოდები. კვლევის ინსტრუმენტები.
- 3.2. კვლევის ეთიკური საკითხები

IV. კვლევის შედეგების აღწერა

39 -138

- 4.1 მონაცემთა დამუშავებისთვის გამოყენებული მეთოდები:
- 4.2 კვლევის შედეგები და ანალიზი
 - 4.2.1 ასთმის ფორმა და სიმძიმე
 - 4.2.2 ასთმის კონტროლი
 - 4.2.3 ასთმის სიმძიმის და კონტროლის დამოკიდებულება
 - 4.2.4 ასთმა და რისკ-ფაქტორები (დამოკიდებულება ასთმის სიმძიმესთან და კონტროლთან)
 - 4.2.5 ასთმა და გენეტიკა

- 4.2.6 ასთმა და ალერგია
- 4.2.7 ასთმა და სქესი
- 4.2.8 ასთმა და ჭარბი წონა
- 4.2.9 ასთმა და მწველობა
- 4.3 ასთმა და თანმხლები ალერგია
- 4.4 ასთმა და სხვა ფაქტორები
- 4.5 ასთმა და ცხოველები
- 4.6 ასთმა და ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური სტატუსი
- 4.7 ასთმის მქონე ბავშვების სიცოცხლის ხარისხი.

V. დასკვნები	139 – 142
VI. შედეგების სამეცნიერო თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა	143
VII. გამოყენებული სამეცნიერო ლიტერატურის ნუსხა	144 - 146
VIII. ნაშრომის ანოტაცია ინგლისურ ენაზე	147 -160
IX. დანართები (სადისერტაციო თემის ირგვლივ გამოქვეყნებული პუბლიკაციები)	

შემოკლებათა სია

QoL - Quality of life სიცოცხლის ხარისხი

GINA - Global Initiative for Asthma ასთმის გლობალური ინიციატივა

NAEPP - National Asthma Education and Prevention Program აშშ-ს ასთმის განათლების და პრევენციის პროგრამა

API - ასთმის პრედიქტული ინდექსი

mAPI - ასთმის მოდიფიცირებული პრედიქტული ინდექსი

HRQOL - Health-Related Quality of Life ჯანმრთელობასთან ასოცირებული ცხოვრების ხარისხი

CHSA - Child Health Survey for Asthma ასთმიანი ბავშვების ჯანმრთელობის შესაფასებელი კითხვარი

CHSA-C Child Health Survey for Asthma-Child Version

PAQLQ - Pediatric Asthma Quality of Life Questionnaire, პედიატრიული ასთმის ცხოვრების ხარისხის კითხვარი

PedsQL Asthma Module 3.0 - Pediatric Quality of Life Inventory 3.0 Asthma Module პედიატრიული ცხოვრების ხარისხის აღწერილობითი კითხვარი 3.0 ასთმის მოდული

MCID -Minimal Clinically Important Difference მინიმალური კლინიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება

PedsQL Multidimensional Fatigue Scale დაღლილობის მრავალგანზომილებიანი შკალა

PedsQL Family Impact Module პედიატრიული სიცოცხლის ხარისხის ოჯახზე გავლენის მოდული

ACT - Asthma Control Test ასთმის კონტროლის ტესტი

CACT- Childhood Asthma Control Tests ბავშვთა ასთმის კონტროლის ტესტი

I. შესავალი

1.1. კვლევის აქტუალობა (საკვლევი პრობლემატიკა)

კვლევის საჭიროება უკავშირდება არა მხოლოდ ასთმით ავადობის მუდმივ ზრდას, არამედ ასთმის მართვის სირთულეებს.

ბრონქული ასთმა ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ქრონიკული დაავადება და მსოფლიო ჯანმრთელობის პრობლემაა. ასთმა შედის ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის არაგადამდები დაავადებების პრევენციისა და კონტროლის გლობალურ სამოქმედო გეგმაში და გაერო-ს მდგრადი განვითარების დღის წესრიგში[1]. 2020 წელს Global Health Metrics-ის ინფორმაციით მსოფლიოში 261 მილიონ ადამიანს დიაგნოსტირებული ჰქონდა ასთმა. ასთმა განსაკუთრებული და პოტენციურად საშიში ქრონიკული დაავადებაა, რომელიც მნიშვნელოვან ტვირთად აწევა პაციენტებს, მათ ოჯახებსა და საზოგადოებას. განსხვავებულ პოპულაციებში ასთმის გავრცელებაზე ასობით ანგარიშის მუხედავად, უნივერსალურად მიღებული ასთმის დეფინიციის არარსებობის გამო, ძნელია მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში ასთმის გავრცელების მონაცემების ზუსტი შეფასება. ასთმის პრევალენტობა მერყეობს მთელ მსოფლიოში, გავრცელება 8-10-ჯერ მეტია განვითარებულ ქვეყნებში (მაგ. ამერიკის შეერთებული შტატები, დიდი ბრიტანეთი, ავსტრალია, ახალი ზელანდია), ვიდრე განვითარებად ქვეყნებში. ზოგიერთ ქვეყანაში ასთმის გავრცელების პლატოს და პოტენციური შემცირების მიზეზები გაურკვეველი რჩება. ასთმის გლობალური გავრცელება (პრევალენტობა) სხვადასხვა ქვეყნის პოპულაციებში 0,19%-იდან (ჩინეთი) 20,96%-მდე (ავსტრალია) მერყეობს [2. 3]. დიდ ბრიტანეთში 8 მილიონზე მეტ ადამიანს, ანუ მოსახლეობის დაახლოებით 12%-ს აქვს ასთმა. ყოველწლიურად დიდ ბრიტანეთში დაახლოებით 160 000 ადამიანს უსვამენ ასთმის დიაგნოზს.

ასთმით ავადობის მაჩვენებელი მაღალია საქართველოშიც. საქართველოში, ოფიციალური ეპიდემიოლოგიური მონაცემების მიხედვით, უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში ბრონქული ასთმის ახალი შემთხვევების რაოდენობა სტაბილურად მაღალია: 3189 შემთხვევა 2008 წელს, 3285 - 2010 წელს და 3261 შემთხვევა 2015 წელს. თითქმის მსგავსია ახალი შემთხვევების მაჩვენებელი ბავშვებში: 588 შემთხვევა 2008 წელს და 559 შემთხვევა 2015 წელს. ამავე დროს, შემცირებულია რეგისტრირებული

შემთხვევების რაოდენობა: 16.443 რეგისტრირებული ბრონქული ასთმა 2008 წელს და მხოლოდ 12.664 2015 წელს. 2019 წელს საქართველოში რეგისტრირებული ასთმისა და ასთმური სტატუსის საერთო პრევალენტობის მაჩვენებელი 286,7, ინციდენტობის მაჩვენებელი 59 [4]. თუმცა, სავარაუდოა, რომ ბრონქული ასთმის ოფიციალურად რეგისტრირებული მაჩვენებელი იმაზე დაბალია, ვიდრე ქვეყანაში არსებული რეალური მდგომარეობა.

ასთმა ბავშვებში მისი სოციალური ფასეულობების გამო (სიცოცხლის ხარისხზე ზეგავლენა, ხანგრძლივი პერიოდის შედეგები, პირდაპირი და არაპირდაპირი ხარჯები) საზოგადოებრივი ჯანდაცვის პრიორიტეტია მსოფლიოში. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციამ არაგადამდები დაავადებების ინტერვენციების პაკეტი შეიმუშავა, რათა დაეხმაროს არაგადამდები დაავადებების მართვის გაუმჯობესებას პირველადი ჯანდაცვის სფეროში დაბალი რესურსების პირობებში. არასწორად მართული ასთმა ზეგავლენას ახდენს არამართო ჯანმრთელობის მდგომარეობაზე, არამედ ბავშვის განვითარებაზე, მის აკადემიურ მოსწრებაზე, ბავშვისა და მისი ოჯახის სიცოცხლის ხარისხზე, იწვევს რესპირაციულ უნარშეზღუდულობას, ზრდის ნაადრევი სიკვდილიანობის რისკს. გარდა ამისა, ასთმა ასოცირდება ჯანდაცვის ხარჯებთან. 5-17 წლის ბავშვებსა და მოზარდებში, ასთმა ყოველწლიურად 10 მილიონი სასკოლო დღის დანაკარგს იწვევს და მშობლებს ყოველწლიურად 726,1 მილიონი დოლარი უჯდება სამსახურში არყოფნის გამო. ამრიგად, ბავშვთა ასთმა დიდი ტვირთია პაციენტებისთვის, მათი ოჯახებისთვის და საზოგადოებისთვის.

ქრონიკული დაავადების გავლენა პაციენტის ცხოვრებაზე შეიძლება შეფასდეს სიცოცხლის ხარისხის (Quality of life - QoL) კითხვარების გამოყენებით. ეს პარამეტრი გვიჩვენებს დაავადების სუბიექტურ გავლენას პაციენტის ფიზიკურ, ემოციურ, სოციალურ და კოგნიტურ ფუნქციონირებაზე. სიცოცხლის ხარისხის კითხვარი ასახავს განსხვავებას ინდივიდის განზრახვებსა და დაავადებით გამოწვეულ შემცირებულ შესაძლებლობებს შორის. კლინიკურ პრაქტიკაში სიცოცხლის ხარისხის შეფასება მნიშვნელოვანია არა მხოლოდ დაავადების სიმპტომების ან მედიკამენტების გვერდითი მოვლენების შესაფასებლად, არამედ ეფექტური მკურნალობისა და მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის ცვლილებების დაკვირვებისთვის. ამ მიზეზების გამო, ინტერესი სიცოცხლის ხარისხის კვლევებისადმი და სიცოცხლის

ხარისხის შესაფასებელი ინსტრუმენტების დანერგვის შესახებ კლინიკურ პრაქტიკაში მუდმივია და ინტენსიურად გამოიყენება სხვადასხვა ქვეყანაში [5, 6, 7, 8].

გლობალური ინიციატივა ასთმისთვის (Global Initiative for Asthma – GINA) მიხედვით ასთმის მკურნალობის ძირითადი მიზნებია ასთმის სიმპტომების კონტროლი, გამწვავებების არარსებობა და პაციენტის მაღალი QoL [1]. ამ მიზნების მიუხედავად, ასთმით დაავადებული ბავშვების QoL უფრო დაბალია, ვიდრე მათი ჯანმრთელი თანატოლების და ის უფრო დაბალია, ვიდრე გულის დაავადებებისა და დიაბეტის მქონე ბავშვებში [9]. ასთმით დაავადებული ბავშვების დაბალი QoL ძირითადად განპირობებულია საქმიანობის შეზღუდვის და საზოგადოებრივი ცხოვრების, ნეგატიური ემოციების და დაღლილობის დონის მომატების გამო. ჯანმრთელობასთან დაკავშირებული QoL-ის შეფასება კლინიკურ პრაქტიკაში საშუალებას იძლევა უკეთესად გავაცნობიეროთ დაავადების გავლენა ცალკეული პაციენტის ცხოვრებაზე, ხელს უწყობს დაავადების მიმდინარეობის მონიტორინგს და შესაძლებელს ხდის მკურნალობის ეფექტურობის შეფასებას. გარდა ამისა, QoL განისაზღვრება მრავალი ფაქტორით. ამ ფაქტორების უკეთ გაგებამ და შეცვლამ შეიძლება გააუმჯობესოს ასთმით დაავადებული პაციენტების QoL [9].

1.2. სამედიცინო და სამეცნიერო ღირებულება

პაციენტზე ასთმის გავლენის გაზომვისთვის საკმარისი არ არის კლინიკური ნიშნებისა და სიმპტომების, ფილტვის ფუნქციის ან ძირითადი პათოლოგიის შეფასება, რომლებზეც ფოკუსირებულია კლინიკური კვლევების უმეტესობა; QoL-ის შეფასებას შეუძლია უზრუნველყოს უნიკალური ინფორმაცია ასთმის შედეგების გაზომვის კომპონენტში და, შესაბამისად, საკვლევი პოპულაციის ასთმის და კონკრეტული ინტერვენციების უპირატესობების ან უარყოფითი მხარეების უფრო სრულყოფილი დახასიათება.

QoL-ის კვლევებისადმი ინტერესის გაზრდის თვალსაზრისით, ბავშვთა ასთმა შესანიშნავი მოდელია QoL კვლევებისთვის. ასთმის მქონე ბავშვებში QoL-ის შეფასება კლინიკურ პრაქტიკაში დაგვეხმარება უკეთესად გავაცნობიეროთ დაავადების სუბიექტური გავლენა პაციენტის სიცოცხლეზე, დაავადების მიმდინარეობაზე, მკურნალობის ეფექტურობასა და ასთმის კონტროლზე, ასევე საშუალებას მოგვცემს

უკეთესად ვმართოთ ასთმა. სწორად მართული ასთმა კი მნიშვნელოვნად შეამცირებს ჯანდაცვის დანახარჯებს.

1.3. სამეცნიერო სიახლე

ეს კვლევა უნიკალურია, რადგან ამ ტიპის კვლევა საქართველოში პირველად ჩატარდა და მოიცავს QoL-ს კვლევას ქვეყნის 2 სხვადასხვა რეგიონში - აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში, სადაც ბრონქული ასთმის პრევალენტობა განსხვავებულია. ეს არის პირველი კვლევა, რომელშიც გამოყენებულია PedsQL ასთმის მოდელის ლიეტუვური ვერსიის ვალიდაციური ვარიანტი სკოლამდელი ასაკის ბავშვებში. ასევე პირველად იქნა გამოყენებული PedsQL მრავალგანზომილებიანი დაღლილობის შკალისა და ოჯახის გავლენის მოდული ასთმის მქონე ბავშვების პოპულაციაში.

1.4. მიზანი: ბრონქული ასთმით დაავადებული ბავშვის მართვის ხარისხის გაუმჯობესება სიცოცხლის ხარისხის შეფასების კითხვარების კლინიკურ პრაქტიკაში დანერგვის გზით.

1.5 კვლევის ამოცანები:

1. ასთმის სიმპტომების და სიმძიმის შეფასება სიცოცხლის ხარისხის შეფასების კითხვარების გამოყენებით, ასთმასთან დაკავშირებული რისკ-ფაქტორების იდენტიფიცირება საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მცხოვრებ ბრონქული ასთმის მქონე ბავშვებში.
2. რისკ-ფაქტორების დამოკიდებულება/კორელაცია ასთმის სიმძიმესთან და ასთმის კონტროლთან.
3. ასთმის მქონე ბავშვების სიცოცხლის ხარისხის შეფასება, სხვადასხვა ფორმის ასთმის დამოკიდებულება და გავლენა როგორც ბავშვის, ისე მშობლის სიცოცხლის ხარისხზე.
4. ბავშვებსა და მათ მშობლებს შორის ცხოვრების ხარისხისა და დაღლილობის შედარება.

II. სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა

2.1. ასთმა: განმარტება

უნიკალური ლაბორატორიული ტესტის და ბიომარკერის არარსებობის გამო, ასთმის ზუსტი განმარტება, რომელიც მისაღებია ყველა სპეციალისტისთვის (კლინიცისტები, ფიზიოლოგები და პათოლოგები) რთულია. კლინიკურად მისი სიმპტომები არასპეციფიკურია. ფიზიოლოგიურად ასთმა ხასიათდება ბრონქული ჰიპერრეაქტიულობით; პათოლოგიურად ასთმა შეიძლება შეფასდეს როგორც "სასუნთქი გზების ქრონიკული ანთებითი დაავადება" [2]. უფრო ზუსტი განმარტებები აერთიანებს ანთების და ბრონქული ჰიპერრეაქტიულობის ცენტრალურ როლს დამახასიათებელ კლინიკურ სიმპტომებთან.

აშშ-ს ასთმის განათლების და პრევენციის პროგრამის (National Asthma Education and Prevention Program - NAEPP) ექსპერტთა პანელის მიერ ასთმა განისაზღვრა, როგორც „სასუნთქი გზების ქრონიკული პათოლოგია, რომელიც კომპლექსურია და ხასიათდება ცვალებადი და განმეორებადი სიმპტომებით, ჰაერის ნაკადის ობსტრუქციით, ბრონქული ჰიპერრეაქტიულობით და ანთებით. ასთმის ამ ნიშნების ურთიერთქმედება განსაზღვრავს ასთმის კლინიკურ გამოვლინებებსა და სიმძიმეს და მკურნალობაზე პასუხს“. [10].

ასთმის გლობალური ინიციატივის (Global Initiative for Asthma - GINA) შესაბამისად „ასთმა არის ჰეტეროგენული დაავადება, რომელიც ხასიათდება სასუნთქი გზების ქრონიკული ანთებით. ანამნეზში ისეთი რესპირაციული სიმპტომებით, როგორიცაა მსტვინავი ხიხინი, ქოშინი, გულმკერდში შებოჭილობა და ხველა, რომელთა ინტენსივობა იცვლება დროთა განმავლობაში, ცვლადი ამოსუნთქვის ჰაერის ნაკადის შეზღუდვასთან ერთად“ [11].

2.2 ასთმა: დიაგნოზი

ასთმის დიაგნოზი ეფუძნება ცვლადი რესპირაციული სიმპტომების ანამნეზს და სპირომეტრიულ მონაცემებს. მაგრამ ხუთ წლამდე ბავშვებში ასთმის დიაგნოსტიკა რთულია და არ არის ნათელი, თუ რა არის ჭეშმარიტი ასთმა ამ ასაკობრივ ჯგუფში; მსტვინავი ხიხინი ამ ასაკში შეიძლება არ ნიშნავდეს ასთმას, გარდა ამისა, ფილტვის ფუნქციური ტესტების ჩატარება ამ ასაკში არ არის შესაძლებელი, ასევე სკოლამდელი ასაკის ბევრი ბავშვი მსტვინავი ხიხინით სასკოლო ასაკში ხდება ასიმპტომური,

მკურნალობის მიუხედავად. ასთმის დიაგნოსტიკა ამ ასაკობრივ ჯგუფში ასთმის გლობალური ინიციატივის (GINA) მიხედვით ძირითადად ეფუძნება კლინიკურ ნიშნებს, სპეციალისტის შეფასებას და მედიკამენტებზე დამყოლობას.

კლინიკისტებისა და მკვლევრებისთვის გამოწვევაა ზუსტად განსაზღვრონ, რომელ ბავშვებს განუვითარდებათ ასთმა. ბრონქული ასთმის ფორმირების პროგნოზული რისკის განსაზღვრის მიზნით შემუშავებულ იქნა ასთმის პრედიქტული ინდექსი (API), რომელიც შეიცვალა მოგვიანებით ასთმის მოდიფიცირებული პრედიქტული ინდექსით (mAPI). ამ ინდექსებს აქვთ მაღალი სპეციფიკურობა, მაგრამ შედარებით დაბალი მგრძობელობა.

2.3. ასთმა: რისკ-ფაქტორები

ასთმა ვითარდება გარემო და გენეტიკური ფაქტორების კომპლექსური ურთიერთქმედების შედეგად. ასოციაციური კვლევების შედეგად გამოვლენილია ასთმის მრავალი რისკ-ფაქტორი. ეს რისკ-ფაქტორები განსხვავდება ასთმის დაწყების ასაკთან და ამ ფაქტორების უმეტესობისთვის ცნობილი არ არის რისკ-ფაქტორების შერბილების ხარისხი ასთმის განვითარების ალბათობის შესაცვლელად[12].

ცხრილში 1 წარმოდგენილია ბავშვებში ასთმის განვითარების რისკის ფაქტორების მოკლე მიმოხილვა.

ცხრილი 1.

პრენატალური ფაქტორები	გენეტიკა და ოჯახური ანამნეზი	აშკარად არის ასთმის ფენოტიპის კომპონენტები, რომლებიც, როგორც ჩანს, ძლიერ მემკვიდრეობითია.
	დედის ასაკი	დედის ახალგაზრდა ასაკი, როგორც ასთმის განვითარების რისკ-ფაქტორი, შესწავლილი იქნა 3-დან 4 წლამდე ასაკის 457 ბავშვზე ახლად დიაგნოზირებული ასთმის შემთხვევების საკონტროლო კვლევაში [2]. 30 წელზე უფროსი ასაკის დედების შვილებთან შედარებით, 20 წელზე უმცროსი დედებისგან დაბადებულ ბავშვებს ჰქონდათ

		ასთმის განვითარების მაღალი რისკი (adjusted odds ratio of 3.48)
დედის კვება ორსულობის დროს		ვინაიდან ასთმის უმეტესობა სათავეს იღებს ბავშვობაში, ადრეული კვება, მათ შორის პრენატალური საკვები ნივთიერებების ზემოქმედება, შეიძლება იყოს რელევანტური, როგორც ასთმისა და ალერგიის განვითარების რისკის ფაქტორი [5]
D ვიტამინი		დედის მიერ (იმ ქალებისთვის, რომელთა შვილებიც არიან ასთმის მაღალი რისკის ქვეშ) D ვიტამინის მაღალი დოზების მიღება (მაგ., 2000-დან 4000 სე/დღეში) ორსულობის დროს ამცირებს ადრეული ცხოვრების (სამ წლამდე) ასთმის/მსტვინავი ხიხინის რისკს შთამომავლობაში [11-14].
პოლიუჯერი ცხიმოვანი მჟავები		ვეგეტერიანული დიეტა შეიძლება დაკავშირებული იყოს ასთმის სიხშირის ზრდასთან [14,30].
სხვა ვიტამინები და მინერალები		დედის მიერ ანტიოქსიდანტების, ვიტამინების E და C და თუთიის მიღებამ შეიძლება შეცვალოს მსტვინავი ხიხინის და ასთმის განვითარების რისკი მცირეწლოვან ბავშვებში. [15,16,18,31-34]
ხმელთაშუა ზღვის დიეტა		მონაცემები მსტვინავი ხიხინისა და ატოპიის შემცირებული რისკის შესახებ დედების შთამომავლებში, რომლებიც ორსულობის დროს იცავდნენ ხმელთაშუა ზღვის დიეტას, შერეულია [8,36-38].
შაქრის მიღება		ბავშვთა ატოპიური ასთმის განვითარების ალბათობა შეიძლება გაიზარდოს შაქრის მაღალი მოხმარების დროს [39].

	დედის ასთმა	ორსულობის დროს დედის ასთმის ცუდმა კონტროლმა შეიძლება გაზარდოს შთამომავლობაში ბავშვთა ასთმის განვითარების ალბათობა, რაც ხაზს უსვამს ორსულობის დროს ასთმის კონტროლის შენარჩუნების მნიშვნელობას [40].
	დედის მწველობა	დედის მიერ თამბაქოს მოწევის პრენატალური ზემოქმედება არის ბავშვთა ასთმის კარგად ჩამოყალიბებული რისკ-ფაქტორი, რომელიც დაკავშირებულია ახალშობილში ფილტვის ფუნქციის დაქვეითებასთან და ბავშვთა ასთმის უფრო დიდ ალბათობასთან [41-47]. გარდა ამისა, გესტაციის პერიოდში მოწევა დაკავშირებულია ორსულობის სხვა არასასურველ შედეგებთან, მათ შორის ნაადრევ მშობიარობასთან, რაც ასთმის კიდევ ერთი რისკ-ფაქტორია.
	მედიკამენტების პრენატალური ექსპოზიცია	გარკვეული მედიკამენტების გამოყენება (მაგ., აცეტამინოფენი, მჟავას დამთრგუნველი მედიკამენტები და ანტიბიოტიკები) ასოცირდება ბავშვთა ასთმასთან, მაგრამ ხშირად შედეგები განსხვავდება კვლევებში და მიზეზობრიობა არ არის დადასტურებული.
პერინატალური ფაქტორები	პრეეკლამფსია	დანიაში ჩატარებული კვლევის (COPSAC2010) ანგარიშის მიხედვით, დედის პრეეკლამფსია შეიძლება იყოს რისკ-ფაქტორი როგორც ბავშვთა ასთმისთვის, ასევე ეგზემის და ალერგიის პრედიქტორიც [59]. დედის ასთმა ზრდის პრეეკლამფსიის რისკს.

	დღენაკლულობა	რეტროსპექტული კვლევები და მეტა-ანალიზები ვარაუდობენ, რომ დღენაკლულობა არის ასთმის რისკის ფაქტორი [60-65].
	საკეისრო კვეთა	საკეისრო კვეთით დაბადებულ ბავშვებს აქვთ ინტერლეიკინის (IL)-13 და ინტერფერონის (IFN)-გამას მაღალი მაჩვენებლები ვაგინალურად დაბადებულ ბავშვებთან შედარებით [82]. ამ ციტოკინების დონის მატება დაკავშირებულია ასთმისა და ალერგიის შემდგომ განვითარებასთან.
	ახალშობილთა სიყვითლე	ახალშობილთა სიყვითლის პოტენციური როლი, როგორც ბავშვთა ასთმის რისკის ფაქტორი, შესწავლილი იქნა 11,321 ბავშვის კვლევაში, ტაივანში [84]
	ძუძუთი კვება	ძუძუთი კვება ასოცირდება სიცოცხლის პირველი ორი წლის განმავლობაში განმეორებითი მსტვინავი ხიხინის სიხშირის შემცირებასთან, რაც შესაძლოა დაკავშირებული იყოს რესპირაციული ვირუსული ინფექციების ნაკლებობასთან.
	ვიტამინი D ჩვილებში	მშობიარობის შემდგომ D ვიტამინის მიღებამ შეიძლება შეასრულოს გარკვეული როლი ასთმის პრევენციაში,
ბავშვთა ასაკი	სქესი	ბავშვთა ასთმა, როგორც წესი, ძირითადად მამრობითი სქესის დაავადებაა, ეს უპირატესობა მაქსიმალურია პუბერტატში [86,87].
	ფილტვის ფუნქციის ადრეული დარღვევები	შეიძლება იყოს ფილტვების ფუნქციის ცვლილებები, რომლებიც გვხვდება ბავშვობაში ან ახალშობილებშიც კი, იმ

		პირებში, რომლებსაც შემდგომში განუვითარდებათ ასთმის სიმპტომები.
ახალშობილთა ფილტვის ფუნქცია		არსებობს გარკვეული მტკიცებულება ფიზიოლოგიური განსხვავებების არსებობის შესახებ დაბადებიდან მალევე იმ ბავშვებში, რომლებსაც მოგვიანებით განუვითარდებათ ასთმა
სასუნთქი გზების ჰიპერრეაქტიულობა		სასუნთქი გზების არანორმალური და გადაჭარბებული რეაგირება მავნე სტიმულებზე არის ცენტრალური მახასიათებელი ასთმის პათოფიზიოლოგიაში და ასთმის მქონე ყველა პაციენტს აქვს სასუნთქი გზების ჰიპერრეაქტიულობა (AHR). AHR არის ასთმის განვითარების რისკის ფაქტორი, მაგრამ AHR-ის მქონე ყველა ადამიანს არ განუვითარდება ასთმა [92,93].
ატოპია		შრატში IgE დონე მჭიდროდ არის დაკავშირებული სასუნთქი გზების ჰიპერრეაქტიულობასთან, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ასთმის სიმპტომები [96-99].
ალერგენზე დადებითი კანის ტესტი		ასთმის და მსტვინავი ხიხინის მქონე ბავშვებს მინიმუმ კანის ერთი ტესტი მაინც აქვთ დადებითი [96. 97].
ალერგენების ექსპოზიცია		შიდა ალერგენების წყაროებია სახლის მტერის ტკიპები, ცხოველური ცილები (მაგ., თაგვის, კატის და ძაღლის ალერგენები), ტარაკნები და სოკოები. ცვლილებები, რომლებმაც წლების განმავლობაში სახლები უფრო "ენერგოეფექტური" გახადა, ითვლება, რომ ზრდის ამ ალერგენების ზემოქმედებას,

		<p>რითაც თამაშობს მნიშვნელოვან როლს ასთმის გავრცელების ზრდაში [103,110].</p>
	<p>მიკრობიოტის გავლენა</p>	<p>ბაქტერიებმა შეიძლება გავლენა მოახდინოს ალერგენის სენსიბილიზაციასა და ასთმის განვითარებაზე, თუმცა ზუსტი ეფექტები, როგორც ჩანს, დამოკიდებულია ექსპოზიციის დროის კომპლექსურ ურთიერთკავშირზე (სიცოცხლის პირველი წელი და მოგვიანებით), მდებარეობა, სიმრავლე და მიკრობიომის მრავალფეროვნება და სპეციფიკური მიკრობული პროდუქტები [120-122]. მაგალითად, ადრეულ ასაკში ალერგენტან და გარემოში არსებულ გარკვეულ ბაქტერიებთან ზემოქმედებამ შეიძლება შეამციროს ასთმის რისკი [123], ხოლო მოგვიანებით ბაქტერიების ზემოქმედებამ შეიძლება გაზარდოს ასთმის რისკი.</p>
	<p>რესპირაციული ინფექციები</p>	<p>ვირუსული და ბაქტერიული რესპირაციული ინფექციები ბავშვებში და მოზრდილებში ასთმის გამწვავების ცნობილი გამომწვევია [125,126]. არის თუ არა რესპირატორული ინფექციები ასთმის მიზეზი, ასთმისადმი მგრძობელობის მარკერი თუ დამცავი ფაქტორი, გაურკვეველი რჩება [127,128]. შესაძლოა, ინფექციის ეფექტი დამოკიდებულია ინფექციების სპეციფიკურ ტიპსა და რაოდენობაზე, გენეტიკურ მგრძობელობაზე და სხვა ფაქტორებზე, როგორცაა ასაკი, ატოპიური სტატუსი და ინდივიდის მიკრობიომი.</p>

		ჩვილებში სასუნთქი გზების ვირუსული ინფექციები, განსაკუთრებით რესპირაციულ-სინციტიური ვირუსი (RSV) და ადამიანის რინოვირუსი (HRV), პროგნოზირებს ასთმის განვითარებას გვიან ბავშვობაში ახალგაზრდობამდე, თუმცა მიზეზობრივი ეფექტი არ გამოვლენილა.
	მედიკამენტების გამოყენება ჩვილებში	ეპიდემიოლოგიურმა კვლევებმა აჩვენა კავშირი ასთმის განვითარებასა და დედისა და ჩვილების მიერ აცეტამინოფენისა და იბუპროფენის გამოყენებას და ასევე ჩვილებში ანტიბიოტიკების მიღებას შორის. ეს ასოციაციები მოითხოვს შემდგომ შესწავლას [130-137]
	ჰაერის კარგარეთა დაბინძურება	აზოტის დიოქსიდი, ნახშირორჟანგი, გოგირდის დიოქსიდი, წვრილი ნაწილაკები
	ჰაერის კარშიდა დაბინძურება	წვის პროდუქტები (მაგ., NO ₂) [166], გარემოს თამბაქოს კვამლი [167] და აქროლადი ორგანული ნაერთები (მაგ., ფორმალდეჰიდი).
	სიმსუქნე	ასთმის გაზრდილი პრევალენტობა დაფიქსირდა მსუქან ბავშვებში სხეულის მასის ინდექსის (BMI) დოზადამოკიდებული ეფექტით ასთმის რისკზე [172].
	ადრეული სქესობრივი მომწიფება	ადრეული პუბერტატი ასოცირდება ახალგაზრდობაში ასთმის განვითარების რისკთან [173-175]. შესაძლებელია, რომ გაზრდილი BMI ხელს უწყობს ასთმის რისკზე ზემოქმედებას ადრეული პუბერტატის ხელშეწყობით.

მოზარდები	სიმსუქნე	ეს რისკი შეიძლება იყოს უფრო დიდი არაალერგიული ასთმისთვის, ვიდრე ალერგიული ასთმისთვის [184].
	თამბაქოს კვამლი	როგორც აქტიური, ისე პასიური მოწევა ზრდის ასთმის განვითარების რისკს. მოზარდებში ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ მათ, ვინც წელიწადში ≥ 300 სიგარეტს ეწეოდა, ასთმის განვითარების რისკი 3,9 (95% CI 1,7-8,5) იყო, არამწვევლ თანატოლებთან შედარებით [192]. მწვევლი დედების შვილებს ასთმის განვითარების ალბათობა 2,1-ჯერ მეტად აღენიშნებათ, ვიდრე არამწვევლი დედების შვილებს. [195].
	პროფესიული ზემოქმედება	ევროპის საზოგადოების რესპირატორული ჯანმრთელობის კვლევებმა (ECRHS და ECRHS-II) გამოავლინა რამდენიმე პროფესია, რომლებიც დაკავშირებულია ახალი ასთმის გაზრდილ რისკთან [199].
	რინიტი	რინიტის მქონე მოზრდილები ასთმის განვითარების უფრო დიდი რისკის ქვეშ არიან [201-203].

ასევე გამოვლენილია ფაქტორების ფართო სპექტრი, რამაც შეიძლება გააუარესოს ასთმა. ამ ფაქტორებს ხშირად უწოდებენ "ასთმის ტრიგერებს".

ბოლო დროს სულ უფრო და უფრო მეტ ინტერესს იწვევს ჯანმრთელობის სოციალური დეტერმინანტების მნიშვნელოვანი გავლენა ასთმის გავრცელებასა და ავადობაზე.

2.3.1 ჯანმრთელობისა და ასთმის სოციალური დეტერმინანტები

ჯანმრთელობის სოციალური დეტერმინანტების მნიშვნელოვანი გავლენა ასთმის გავრცელებასა და ავადობაზე უკვე აღიარებულია. როგორც აშშ-ს ჯანდაცვისა და ადამიანური სერვისების დეპარტამენტი განსაზღვრავს, ჯანმრთელობის სოციალური განმსაზღვრელი არის „გარემო და სოციალური პირობები, სადაც ადამიანები

იბადებიან, ცხოვრობენ, სწავლობენ, მუშაობენ, თამაშობენ, რაც გავლენას ახდენს ჯანმრთელობაზე და ცხოვრების ხარისხზე“[13.14].

უხარისხო საცხოვრებლები, ობის/ნესტის ალბათობის გაზრდა და გარე და შიდა დაბინძურების მაღალი უბნები არის ზოგიერთი ეს ფაქტორი, რომელიც მნიშვნელოვნად მოქმედებს ასთმის მქონე პაციენტებზე [15]. ამერიკის შეერთებულ შტატებში ასთმა არის ერთ-ერთი ქრონიკული დაავადება, რომელსაც აქვს ყველაზე მაღალი რასობრივი და ეთნიკური განსხვავებები [16]. შეერთებულ შტატებში მოზარდებს შორის შავკანიან, ინდიელ-ამერიკელებს/ალასკელებს, ისევე, როგორც ადამიანებს, რომლებიც ცხოვრობენ სიღარიბის დონეზე, აქვთ ასთმის უფრო მაღალი გავრცელება სხვა ჯგუფებთან შედარებით [17,18]. ამ ჯგუფებს ასევე აქვთ გადაუდებელი დახმარების განყოფილების ვიზიტების, ჰოსპიტალიზაციისა და ასთმით სიკვდილის მაღალი მაჩვენებელი [19]. სტრუქტურული რასიზმი, მაგალითად, ისტორიული წითელი ხაზის (წითელი ხაზის" უბნები - ტერიტორია, სადაც შავკანიანი მოსახლეობა ცხოვრობს) ხანგრძლივი ეფექტი გარკვეულ უბნებში [20, 21], ძლიერ გავლენას ახდენს საცხოვრებელ გარემოზე და პირდაპირ გავლენას ასთმის გავრცელებასა და ავადობაზე.

ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობის ბარიერები, პირველადი ჯანდაცვისა და სპეციალისტების ჩათვლით, დაზღვევის არარსებობის ან პროვაიდერების არახელმისაწვდომობა [22, 23] ასევე ხელს უწყობს გარკვეულ ჯგუფებში ასთმის მართვის ცუდ შედეგებს. ამ საკითხების ინფორმირებულობა და გათვალისწინება, რომლებიც არაპროპორციულად მოქმედებს გარკვეულ ჯგუფებზე, აუცილებელია ასთმის მართვისას.

ამიტომ მხოლოდ ასთმის კლინიკური სიმპტომების ცოდნა, სპირომეტრია და მაკონტროლებელი მედიკამენტების გამოყენება არ არის საკმარისი ასთმის დიაგნოსტიკისა და მართვისათვის. ასთმის გამომწვევების სრულყოფილი შესწავლა და, შეძლებისდაგვარად, მათი თავიდან აცილება დაგვეხმარება ასთმის სიმპტომების შემცირებაში.

2.4. ასთმა და QoL

ასთმა ეს არის ქრონიკული დაავადება, რომელთანაც პაციენტს მთელი ცხოვრების განმავლობაში უწევს გამკლავება. ასთმის ფიზიკური, ფსიქოლოგიური და სოციალური ზემოქმედება მნიშვნელოვნად ცვლის პაციენტის სიცოცხლის ხარისხს. იმის გამო, რომ დაავადების ტვირთი, რომელიც იზომება სიმპტომების ან აქტივობის დონეების მიხედვით, არ იძლევა სრულ სურათს, პაციენტის მიერ ამ დარღვევების გავლენის შეფასება მის ცხოვრების ხარისხზე რჩება არსებითი. ასთმის გავლენის/შედეგის საზომად შეიძლება გამოყენებული იქნეს ასთმასთან დაკავშირებული სიცოცხლის ხარისხი, რაც გულისხმობს ასთმის გაცნობიერებულ გავლენას (აღქმას) პაციენტის სიცოცხლის ხარისხზე. ისტორიულად, QoL ინსტრუმენტები იყო გასაღები ავადმყოფის მიერ აღქმული დაავადების ტვირთის გასაზომად, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ტერმინი „სიცოცხლის ხარისხი“ არის სხვადასხვა ტიპის პაციენტის მიერ მოხსენებული შედეგების სპექტრი. ასთმასთან დაკავშირებული QoL-ის მრავალი ამჟამად ხელმისაწვდომი ინსტრუმენტი შეიქმნა ასთმის კონტროლის კონსტრუქციის ფორმულირებამდე. QoL-ის ზომებში ისტორიულად რამდენიმე კონსტრუქციაა ჩართული: ჯანმრთელობის მდგომარეობა (მაგ. სიმპტომების დონეები), ფუნქციური მდგომარეობა (მაგ., აქტივობის შესაძლებლობები ან დარღვევები) და პაციენტის აღქმა ამ დარღვევების ზემოქმედების შესახებ მის სიცოცხლის ხარისხზე. სხვა ფუნქციური სფეროები და სიმპტომატიკა, როგორცაა ემოციური კეთილდღეობა, დეპრესია ან შფოთვა და სოციალური ფუნქცია, ასევე ჩართულია ზოგიერთ ინსტრუმენტში. ჯანმრთელობასთან ასოცირებული ცხოვრების ხარისხის (Health-Related Quality of Life (HRQOL) განსაზღვრამ ბავშვის სიცოცხლის ხარისხზე ასთმის ზეგავლენის მნიშვნელოვანი და უფრო ყოველმხრივი შეფასება შეიძლება მოგვცეს.

ჯანმრთელობასთან ასოცირებული სიცოცხლის ხარისხის შესაფასებელი სპეციფიკური კითხვარები 1990 წლიდანაა შექმნილი. დღესდღეობით, არსებობს რამდენიმე კონკრეტული ინსტრუმენტი, რომლებიც გამოიყენება ბავშვთა და მოზარდთა სიცოცხლის ხარისხის შესაფასებლად. მაგრამ მოზრდილებისთვის შემუშავებული QoL ინსტრუმენტების გამოყენება ვერ მოხდება ბავშვებში. პედიატრიული ინსტრუმენტების შემუშავებისას რამდენიმე განსაკუთრებული გარემოება არსებობს, რომლებიც აღწერილია, როგორც “4 Ds of childhood“ (“4 Ds of

childhood”: developmental change, dependence on adults, different disease epidemiology from adults, and demographic characteristics unique to childhood). განვითარების ცვლილება, მოზრდილებზე დამოკიდებულება, მოზრდილებისგან განსხვავებული დაავადების ეპიდემიოლოგია და ბავშვობისთვის დამახასიათებელი უნიკალური თავისებურებები/მახასიათებლები [24]. ამ გამოწვევების გამო, პედიატრიული QoL ინსტრუმენტები შედარებით ნაკლებად არის განვითარებული, ვიდრე მოზრდილთა ინსტრუმენტები, თუმცა ბავშვთა ინსტრუმენტების რაოდენობაც იზრდება [25, 26]. ამჟამად ხელმისაწვდომი ინსტრუმენტების ადმინისტრირება ძირითადად ხდება პაციენტებთან ან მშობელთან ინტერვიუების მეშვეობით. ზოგიერთი კითხვარის ადმინისტრირება შესაძლებელია კომპიუტერულად.

დღეისათვის გამოიყენება 11 ინსტრუმენტი მოზრდილებისთვის და 6 ბავშვებისთვის. ცხრილში ##2 და 3 წამოდგენილია 6 პედიატრიული ინსტრუმენტის ძირითადი მახასიათებლები და დომენები

ცხრილი 2. პედიატრიული ინსტრუმენტის ძირითადი მახასიათებლები

	Tool	Developed By	Items	Domains (n)	Age years	Respondent	Year of validation
1	CHSA	ამერიკის პედიატრთა აკადემია	48	5	5-12	მშობელი	1992
2	CHSA-C	ამერიკის პედიატრთა აკადემია	25	3	7-16	მშობელი/ ბავშვი	2008
3	PAQLQ	E.F. Juniper	23	3	7-17	ბავშვი	1996
4	PACQLQ	E.F. Juniper	13	2	7-17	მშობელი	1999
5	Pictorial PAQLQ	R.S. Everhart and B.H. Fiese	15	2	5-7	მკვლევარი/ ბავშვი	2009
6	PedsQL 3.0 Asthma	J.W. Varni	28	4	2-18 (For children)	ბავშვი	2004

	Module				aged 2–4, 5–7, 8–12, and 13–18 years)		
--	---------------	--	--	--	--	--	--

ცხრილი 3. პედიატრიული ინსტრუმენტის დომენები

	Tool	Domains							
		სიმპტომების სიხშირე	აქტივობის შეზღუდვა	სოციალური ურთიერთობები	განწყობა და ემოციური კეთილდღეობა	შიში	ჯანმრთელობა	Bother	
1	CHSA		5	6	22	15			48
2	CHSA-C	7	6		12				25
3	PAQLQ	10	5		8				23
4	PACQLQ		4		9				13
5	Pictorial PAQLQ	10			5				15
6	PedsQL 3.0 Asthma Module	11		3		3		11	28

1. ასთმის მქონე ბავშვების ჯანმრთელობის შეფასება, მოწოდებული ამერიკის პედიატრთა აკადემიის მიერ [Child Health Survey for Asthma, Developed by the American Academy of Pediatrics (27)].

ასთმიანი ბავშვების ჯანმრთელობის შესაფასებელი კითხვარი (Child Health Survey for Asthma - CHSA) არის ინსტრუმენტი, რომელსაც ავსებენ ასთმით დაავადებული 5-12 წლის ბავშვების მშობლები. მის შევსებას 20 წუთი სჭირდება. CHSA შეიქმნა იმისთვის, რომ ასთმით დაავადებულ ბავშვებს და მათ მშობლებს მიეცეთ შესაძლებლობა გამოხატონ აზრი იმის შესახებ, თუ როგორ უყურებენ ბავშვები თავიანთ QOL-ს. ეს ინსტრუმენტი მოიცავს ბავშვზე და ოჯახზე ორიენტირებულ 48 შეკითხვას, რომლებიც იყოფა 5 დომენად:

- 1) ფიზიკური ჯანმრთელობა - 15 შეკითხვა;
- 2) აქტივობა/ასთმით გამოწვეული აქტივობის შეზღუდვა [ბავშვი] - 5 შეკითხვა;
- 3) საქმიანობა/სოციალური ურთიერთობები [ოჯახი] - 6 შეკითხვა;
- 4) ემოციური ჯანმრთელობა [ბავშვი] - 5 შეკითხვა
- 5) ემოციური ჯანმრთელობა [ოჯახი] - 17 შეკითხვა.

თითოეული 5 დომენისათვის მინიმალური ქულაა 0 და მაქსიმალური 100. მაღალი ქულები მიუთითებს პოზიტიურ შედეგებზე ან ჯანმრთელობის უკეთეს მდგომარეობაზე. არსებობს კონკრეტული კითხვები, რომლებიც ეხება იმას, თუ როგორ მოქმედებს ბავშვის ჯანმრთელობის სტატუსი ბავშვზე და ოჯახზე. მაგალითად, ოჯახის საქმიანობის შესახებ შეკითხვები მოიცავს: “ოჯახის გეგმები ან მოგზაურობები შევცვალეთ, რადგან არ ვიყავით დარწმუნებული, როდის შეიძლება შეტევა მომხდარიყო”; “ჩვენ გავაუქმეთ სოციალური გეგმები, რადგან ჩვენს შვილს ჰქონდა ასთმის პრობლემა”; და “ჩვენ ვერიდებოდით აქტივობებს ან ადგილებს, რომლებსაც შეეძლოთ შეტევა გამოეწვიათ (მაგალითად, ზოოპარკში ან ფერმაში სტუმრობა, ბანაკი ან სიცივეში გასვლა).” პასუხები არის: “ყოველთვის”, “უმეტესწილად”, “გარკვეულწილად”, “მცირე დროით” და “არასდროს”. კითხვები ბავშვის ემოციურ ჯანმრთელობასა და ოჯახის ემოციურ ჯანმრთელობაზე ასევე ეხება იმას, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ბავშვისა და ოჯახისთვის ასთმით გამოწვეული ზიანი. CHSA იძლევა 5 დომენის ქულას (ფიზიკური ჯანმრთელობა, ბავშვის აქტივობა, ოჯახური აქტივობა, ბავშვის ემოციური ჯანმრთელობა და ოჯახის ემოციური ჯანმრთელობა).

CHSA-ს სიძლიერეა ის, რომ ინსტრუმენტი თავისუფლად არის ხელმისაწვდომი და აქვს კარგად განსაზღვრული ფსიქომეტრიული თვისებები. ასთმის აღქმული გავლენა QoL-ზე შეიძლება გამომდინარეობდეს ოჯახის აქტივობის დომენიდან (ოჯახის საქმიანობაში ბავშვის ასთმის გამო), ემოციური ჯანმრთელობის დომენიდან (ბავშვის იმედგაცრუება და აღშფოთება ასთმასა და ასთმის მკურნალობასთან დაკავშირებით) და ოჯახის ემოციური ჯანმრთელობის დომენიდან (შფოთვა ასოცირდება ასთმის მართვასთან, იმედგაცრუებებთან და ოჯახისთვის სტრესთან ბავშვის ასთმის გამო). ეს ინსტრუმენტი იქნა გამოყენებული სოციალურ-ეკონომიკურ და ეთნიკურად მრავალფეროვან მოსახლეობაში შეერთებულ შტატებში და შემუშავდა ვერსია აშშ-ს

ესპანურენოვანი მაცხოვრებლებისთვის. გარდა ამისა, არსებობს CHSA-ს თანმხლები ვერსია, რომლის დასრულებაც შესაძლებელია ბავშვის მიერ. CHSA-C სისუსტეებში შედის შეზღუდული მონაცემები მოსახლეობის ნორმების შესახებ.

CHSA-ს შინაარსის უმეტესი ნაწილი (48 პუნქტიდან 20) მოიცავს ფუნქციურ სტატუსს და ჯანმრთელობის მდგომარეობას და შეიძლება ემთხვეოდეს ასთმის კონტროლის საზომებს.

2. ბავშვთა ჯანმრთელობის კვლევა ასთმა-ბავშვის ვერსია [Child Health Survey for Asthma-Child Version, developed by the American Academy of Pediatrics (28)].

ასთმაზე ბავშვთა ჯანმრთელობის შესაფასებელი კვლევა -ბავშვის ვერსიაზე (CHSA-C) წარმოადგენს ასთმა-სპეციფიკურ QOL ინსტრუმენტს, რომელიც 2008 წლიდან გამოიყენება. მისი შესრულების დრო დამოკიდებულია ბავშვის ასაკზე და საშუალოდ 10 წუთი სჭირდება. იგი ემყარება ანალოგიურ ინსტრუმენტს (CHSA), რომელიც შექმნილია მშობლისათვის. CHSA და CHSA-C შეიძლება გამოყენებულ იქნას, როგორც ცალკეული ან თანმხლები ინსტრუმენტები. ინსტრუმენტის 25 პუნქტი მოიცავს 3 დომენს: ფიზიკური ჯანმრთელობა (7 კითხვა), ბავშვთა აქტივობები (6 კითხვა) და ემოციური ჯანმრთელობა (12 კითხვა). ფიზიკური ჯანმრთელობის შესახებ 7 შეკითხვა ფოკუსირებულია ასთმის სიმპტომებზე. ბავშვთა საქმიანობის შესახებ 6 კითხვა ეხება ასთმასთან დაკავშირებულ შეზღუდვებს სკოლაში, თამაშსა და სპორტში. თემები ემოციური ჯანმრთელობის შესახებ მოიცავს 8 კითხვას, რომლებიც ასთმის შესახებ გრძნობებს ეხება და 4 საკითხს სტრესის, იმედგაცრუების, ბრაზისა და ცოდნასთან დაკავშირებით მედიკამენტების შესახებ. მაგალითად, საგნებში შედის “ჩემი ასთმა სტრესს იწვევს ჩემს ოჯახში”; “იმედგაცრუებული ვარ, რომ სხვა ადამიანებს არ ესმით, რას ნიშნავს ასთმის არსებობა”; და “ზოგჯერ ვბრაზდები და ვეკითხები ჩემს თავს, რატომ ხდება ეს?” პასუხები: “კატეგორიულად არ ვეთანხმები”, “არ ვეთანხმები”, “არ ვარ დარწმუნებული”, “ვეთანხმები” და “ძლიერ ვეთანხმები”. საგნები, რომლებიც ფოკუსირებულია ემოციურ ჯანმრთელობაზე, სტრესზე, იმედგაცრუებაზე და სიბრაზეზე, შეიძლება ასახავდეს ასთმისგან გამოწვეული შეზღუდვების მნიშვნელობას ბავშვისთვის და ასევე ბავშვის მიერ ოჯახზე გავლენის აღქმას. თითოეული შეკითხვისათვის ქულები იანგარიშება 0-დან 100-მდე, 100-ით ყველაზე პოზიტიური.

CHSA-C სიმლიერე მოიცავს შესაბამისობას 7–16 წლის ასაკის ბავშვებისთვის. CHSA-C -ის სისუსტეა შეზღუდული ფსიქომეტრიული თვისებები, პოპულაციის ნორმების ნაკლებობას, ასთმის კონტროლის ზომების შინაარსის გადაფარვისას სიმპტომების და ფუნქციური მდგომარეობის შეფასებასთან დაკავშირებით და გამოყენების შესახებ გამოქვეყნებული ლიტერატურის ნაკლებობას.

3. პედიატრიული ასთმის ცხოვრების ხარისხის კითხვარი (PAQLQ) - (PAQLQ) - Pediatric Asthma Quality of Life Questionnaire, developed by E.F. Juniper [29].

პედიატრიული ასთმის ცხოვრების ხარისხის კითხვარი (PAQLQ), შეიქმნა 1990-იანი წლების შუა პერიოდში ჟუნიპერ-ის და მისი კოლეგების მიერ ბავშვებისათვის (7-დან 17 წლამდე ასაკობრივი ჯგუფისათვის). ორიგინალი ვერსიის შემუშავებისათვის 77 პუნქტი იქნა დამუშავებული მრავალფეროვანი წყაროებიდან, მათ შორის ინტერვიუები ჯანდაცვის სპეციალისტებთან, სამედიცინო ლიტერატურის მიმოხილვები, ინტერვიუები ბავშვებთან და მათ მშობლებთან, რომლებსაც ხაზი უნდა გაესვათ ასთმის იმ ასპექტებზე, რომლებიც განსაკუთრებულ ტვირთად აწვებოდა მათ ყოველდღიურ ცხოვრებას, ემოციური და ფიზიკური ასპექტების ჩათვლით. ინფორმაციის დამუშავების შედეგად შემუშავებულ იქნა კითხვარი, რომელიც შედგება 23 შეკითხვისაგან, დაყოფილია 3 დომენად და მოიცავს:

- 1) ასთმის სიმპტომებს (10 შეკითხვა)
- 2) ბავშვის ემოციურ რეაქციას სიმპტომების მიმართ (8 შეკითხვა)
- 3) ასთმით გამოწვეულ აქტივობის შეზღუდვას (5 შეკითხვა).

ყველა შეკითხვის შეფასებისათვის გამოიყენება ლიკერტის რეაგირების შკალა (Likert response scale): (1=“ძალიან შეწუხებული”; 7=“არ წუხს”). კითხვარის შესავსებად საკმარისია 10-15 წუთი. ეს ინსტრუმენტი ასევე შეგიძლიათ იხილოთ სტანდარტიზებული პედიატრიული ასთმის ცხოვრების ხარისხის კითხვარის (PAQLQ (S)-Standardized Pediatric Asthma Quality of Life Questionnaire სახელწოდებით. მიუხედავად იმისა, რომ ჟუნიპერ-ის კითხვარი საკმაოდ მოქნილი ინსტრუმენტია და ფლობს საკმაოდ კარგ საზომ თვისებებს (მაგ: შინაგან შესაბამისობას და ტესტირება-რეტესტირების სანდოობას, დამაჯერებელ ჯვარედინ-სექციურ შესაბამისობას სხვა საზომ ერთეულებთან და მოქნილობას, შეცვალოს და დააჯგუფოს განსხვავებები და ისიც, რომ ის მრავალ ენაზეა ნათარგმნი), ასაკობრივ-სპეციფიკურ ფსიქომეტრიული

ინფორმაცია PAQLQ-ს შესახებ არის შეზღუდული და ფართო ასაკობრივი სპექტრი ფარავს რამდენიმე მნიშვნელოვნად განსხვავებულ დონეებს. უფრო მეტიც, ინფორმაცია ქვედა შკალების დისკრიმინაციულ ვალიდურობაზე მიუწვდომელია.

4. პედიატრიული ასთმის ცხოვრების ხარისხის კითხვარი მშობლებისათვის - Pediatric Asthma Caregiver Quality of Life Questionnaire, developed by E.F. Juniper [30].

პედიატრიული ასთმის ცხოვრების ხარისხის კითხვარი მშობლებისათვის (PACQLQ), რომელიც შემუშავდა 1990-იანი წლების შუა პერიოდში E.F. ჟუნიპერ-ის და მისი კოლეგების მიერ, მიზნად ისახავდა ბავშვის ასთმის გავლენის გაზომვას აღმზრდელების (მშობლების) QoL-ზე. შევსებას 3-5 წუთი სჭირდება. ინსტრუმენტი შეიცავს 13 შეკითხვას, რომელიც იყოფა 2 დომენად: საქმიანობის შეზღუდვები - 4 შეკითხვა (მაგ., გავლენა სამსახურზე ან ძილზე) და ემოციური ფუნქცია - 9 შეკითხვა (მაგ., ბავშვის სიმპტომების გამო გაღიზიანება, მედიკამენტების გვერდითი ეფექტების გამო მღელვარება). რესპონდენტებს სთხოვენ შეაფასონ, თუ როგორ ერეოდა ბავშვების ასთმა მათ ყოველდღიურ ჩვეულებრივ საქმიანობაში და როგორ გრძნობდა თავს მშობელი. ქულების დაანგარიშება ხდება ლიკერტის რეაგირების შკალის 7 ბალიანი სისტემით (მაგ., 1 = “ძალიან შემფოთებულია”; 7 = “არ აწუხებს”). PACQLQ – ის საერთო ქულა არის 13 ერთეულის საშუალო.

PACQLQ-ის ძლიერი მხარეები: ეს არის მოკლე, ადვილად შესასრულებელი ინსტრუმენტი, ასთმის გავლენის შესაფასებლად აღმზრდელებზე და არა ბავშვების QOL. PACQLQ თავდაპირველად ტესტირებულ იქნა მშობლების მცირე ჯგუფში (n = 52) კანადაში და შემლო დაედგინა ცვლილებები როგორც საქმიანობაში, ასევე ემოციურ დომეინებში მშობლებს შორის, რომლებმაც განაცხადეს, რომ მათი ბავშვის ასთმის სტატუსი შეიცვალა. თუმცა შემდგომში ეს ინსტრუმენტი გამოყენებულ იქნა მრავალფეროვანი პოპულაციის პედიატრიული ასთმის მრავალ კვლევაში და ხელმისაწვდომია მრავალ ენაზე. მის შეზღუდვებში შედის ასთმის კონტროლის დონეების პოტენციური გადაფარვა.

5. ცხოვრების ხარისხის შესაფასებელი ილუსტრირებული კითხვარი ბავშვებისთვის- PAQLQ - PAQLQ - Pictorial Quality of Life Measure for Young Children with Asthma, developed by R.S. Everhart and B.H. Fiese [31].

PAQLQ-დან ადაპტირებული, შედარებით ახალი ინსტრუმენტია ილუსტრირებული PAQLQ, შექმნილი 5-7 წლის ასაკობრივი ჯგუფისათვის. კითხვარი დაყოფილია 2 დომენად: ასთმის სიმპტომებს ეხება 10 შეკითხვა, ბავშვის ემოციურ რეაქციას სიმპტომების მიმართ - 5 შეკითხვა. სიმპტომების ქვეგანაყოფის ერთეულები ფოკუსირებას ახდენს სიმპტომების სიხშირეზე (მაგ: ხველა, უძილობა და ა.შ), რომლითაც ბავშვი წუხდება. ემოციური დომენის კითხვები მოიცავს ისეთ შეგრძნებებს, როგორცაა წუხილი, ბრაზი, ფორიაქი, გამოწვეული ასთმით. ეს ინსტრუმენტი იქნა შემუშავებული ე.წ „ქალაქი-კალმით“ ადმინისტრირებისთვის. ეს ინსტრუმენტი საშუალებას იძლევა ბავშვმა თავად გამოხატოს რეაქცია 3 თერმომეტრის საშუალებით; ამ სამი თერმომეტრიდან 1-სავსე, 2-ნახევრად სავსე და 3-ცარიელი და შეესაბამება პასუხებს: 1-„არავითარი“. 2-„რაც ოდენობით“ და 3 - „ყველა“. ბავშვებს სთხოვენ შეაფასონ თითოეული კითხვა მოცემული თერმომეტრების მეშვეობით. ყველა პასუხების დაჯამების მიხედვით ხდება მთლიანი QoL-ის გამოთვლა.

კითხვარის გამოყენება ხდება ინტერვიუერების მიერ, რათა უზრუნველყოფილი იქნას პირდაპირი ანგარიში მცირეწლოვანი ბავშვისაგან. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან ბავშვისაგან მოწოდებული ინფორმაცია შეიძლება განსხვავდებოდეს მათი მშობლისაგან მიღებული ინფორმაციისაგან. ამასთან, მოცემული ასაკობრივი ჯგუფისათვის ამჟამად მხოლოდ მწირი ინსტრუმენტებია ხელმისაწვდომი. სწორედ ამიტომ ამ ახალი ინსტრუმენტის გამოყენებაზე ბევრი მკვლევარი ამყარებს იმედებს. მოცემული ინსტრუმენტის თავდაპირველმა ტესტირებამ გამოავლინა ადეკვატური ფსიქომეტრიული თვისებები და გვაწვდის წინასწარ მტკიცებულებებს კოჰერენტული, დისკრიმინაციული და პროგნოზირებადი ვალიდურობის მთლიანი დაჯამების მიმართ. მაგრამ მისი სუსტი მხარე ისაა, რომ კითხვარი ლიმიტირებულია.

6. პედიატრიული ცხოვრების ხარისხის აღწერილობითი კითხვარი 3.0 ასთმის მოდული - Pediatric Quality of Life Inventory 3.0 Asthma Module - PedsQL™ developed by J.W. Varni [32].

პედიატრიული ცხოვრების ხარისხის აღწერილობითი კითხვარი 3.0 ასთმის მოდული (PedsQL 3.0 ასთმის მოდული) არის დაავადებათა სპეციფიკური მრავალი მოდულიდან

ერთ-ერთი, რომელიც პედიატრული ცხოვრების ხარისხის კითხვარის (PedsQL) ნაწილია. PedsQL გაზომვის მოდელი იყენებს ე.წ „მოდულურ“ მიდგომას, ზოგადი და დაავადების სპეციფიკური შკალებით. აღსანიშნავია, რომ ზოგადი QoL მოდული და არა ასთმის მოდული, შეიცავს QoL კითხვებს. PedsQL 3.0 ასთმის მოდული შერწყმულია ამ ზოგად QoL ინსტრუმენტთან. ასთმის მოდული აგროვებს დამატებით ინფორმაციას სოციალური ურთიერთობების, შფოთვისა და ასთმის მკურნალობის სპეციფიკურ საკითხებთან დაკავშირებით; ამასთან, იგი არ ზომავს ბავშვის ან აღმზრდელის აღქმას ასთმის გავლენაზე ბავშვის QoL-ზე. ინფორმაცია ამ ინსტრუმენტის შესასრულებლად საჭირო დროის შესახებ არ გამოქვეყნებულა. ეს არის ინსტრუმენტი, რომელიც აგროვებს ინფორმაციას, როგორც მშობლისაგან, ასევე ბავშვისაგანაც. ასთმის მოდული განკუთვნილია 2–18 წლის ბავშვებისა და მოზარდებისათვის. არსებობს ამ მოდულის 4 ვერსია სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფისთვის. 2-4 წლის ასაკის , 5-7 წლის, 8-12 წლის და 13-18 წლის ბავშვებისა და მშობლებისათვის. დაავადების სპეციფიკური ასთმის მოდულში არსებობს 4 შკალა:

- 1) ასთმის სიმპტომები-11 შეკითხვა;
- 2) მკურნალობის პრობლემები-11 შეკითხვა;
- 3) შფოთვა-3 შეკითხვა;
- 4)კომუნიკაცია-3 შეკითხვა.

PedsQL 3.0 ასთმის მოდული უფრო მეტად კონცენტრირდება ასთმის სიმპტომების და პრობლემების შეფასებაზე, ვიდრე ზოგადი QoL. შეკითხვებს საფუძვლად უდევს ზოგადი PedsQL, ფოკუს-ჯგუფების, კოგნიტური ინტერვიუების, პრეტესტისა და პრაქტიკული ტესტირების გამოცდილება. გამოიყენება 5 ბალიანი შკალა: 0 = 100, 1 = 75, 2 = 50, 3 = 25, 4 = 0. უმაღლესი ქულები მიუთითებს უკეთეს QoL-ზე. მცირეწლოვანი ბავშვის მიერ თვითშეფასებისთვის გამოიყენება გამარტივებული 3 ბალიანი შკალა (0 = “სულაც არ არის პრობლემა”, 2 = “ზოგჯერ პრობლემა” და 4 = “ბევრი პრობლემა”). ამ ინსტრუმენტის სანდოობა და ვალიდობა შეფასებულია რამდენიმე კვლევაში.

PedsQL 3.0 ასთმის მოდულის შეცვლილი ვერსია, სახელწოდებით PedsQL 3.0 SF22 ასთმის მოდული, შეიცავს კითხვებს ასთმის სიმპტომების შესახებ (მაგ.,ასთმის სიმპტომებთან დაკავშირებული პრობლემები - 11 შეკითხვა და მკურნალობის

პრობლემები - მაგ., მედიკამენტების ან ინჰალატორების გამოყენების პრობლემები, 11 შეკითხვა). ეს 2 კომპონენტი ყველაზე მნიშვნელოვნად ითვლებოდა და შენარჩუნებული იყო PedsQL 3.0 SF22 ასთმის მოდულში. ამ შკალებმა აჩვენა საკმაოდ მაღალი საიმედოობა (Cronbach's $\alpha \geq 70$) და ვალიდურობა. [33]. PedsQL™ თარგმნილია მრავალ ენაზე და ის წარმატებით გამოიყენება მსოფლიოს 60-ზე მეტ ქვეყანაში .

მიუხედავად იმისა, რომ PedsQL ძირითადი ინსტრუმენტი კარგად არის განსაზღვრული და შემუშავებულია ვერსიები 3 სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფისთვის, ასთმის მოდულის ინსტრუმენტის ფსიქომეტრული თვისებები კვლავ ვლინდება. სისუსტეებში შედის ის ფაქტი, რომ ინსტრუმენტის კითხვებში დომინირებს ასთმის მართვის საკითხები - რომ ასთმის მოდული პირდაპირ არ აფასებს ბავშვის პერსპექტივას იმის შესახებ, თუ როგორ მოქმედებს მის ცხოვრებაზე ასთმა, ან რამდენად აწუხებს მას ასთმა. აქ არის შეზღუდული მონაცემები მოსახლეობის ნორმების, რესპონდენტთა დატვირთვისა და მინიმალურად მნიშვნელოვანი განსხვავების შესახებ.

ძირითადი პუნქტები და რეკომენდაციები:

1. QoL არის ასთმის შედეგების მნიშვნელოვანი განზომილება, რომელიც განსხვავდება კლინიკური ნიშნებისა და სიმპტომების შეფასებისგან.
2. ამჟამად ხელმისაწვდომი QoL ინსტრუმენტები განსხვავდება მათ მიერ გაზომილი დომენების მიხედვით. განმარტებით, ასთმის ცხოვრების ხარისხის ინსტრუმენტებმა უნდა გაზომონ პაციენტების პირადი აღქმა ასთმის გავლენის შესახებ მათი ცხოვრების ხარისხზე. ბევრი QoL-ის ამჟამინდელი ინსტრუმენტი ზომავს განსხვავებულ დომენს, კერძოდ, გაუარესებას, რომელიც შეიძლება მოიცავდეს პაციენტის სიმპტომებს ან ფუნქციურ სტატუსს (ანუ ყოველდღიური აქტივობების შესრულების უნარს ან მინიმალური ფიზიკური აქტივობების გარკვეულ კომპლექსს). ზოგიერთი ინსტრუმენტი ზომავს ასთმის გავლენას სოციალურ, ფსიქოლოგიურ და ემოციურ კეთილდღეობაზე, ასევე ფინანსურ მდგომარეობაზე. მიუხედავად იმისა, რომ ზოგადად, სიმპტომების უფრო მაღალი დონე და უარესი ფუნქციური მდგომარეობა ასოცირდება დაქვეითებულ QoL-თან, პაციენტის პერსპექტივა დაავადების გავლენის შესახებ შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს პაციენტის საკუთარი პრიორიტეტების, მოლოდინებისა და ცხოვრების წესის მიხედვით.

ამრიგად, QOL-ის ნებისმიერი გაზომვის მთავარი განმსაზღვრელი მახასიათებელია ის, რომ მან უნდა შეაფასოს პაციენტისთვის მდგომარეობის გაუარესების მნიშვნელობა.

3. მნიშვნელოვანია ზუსტად დადგინდეს, თუ რას ზომავს ინსტრუმენტი და რა დომენ(ებ)ი ქმნის კითხვარიდან მიღებულ ქულებს.

4. მიუხედავად იმისა, რომ შიდა თანმიმდევრულობა, სანდოობა და სხვა შედეგებთან თანმხლები/პროგნოზირებადი ასოციაციები დადგენილია რიგი ინსტრუმენტისთვის, ბევრი განიცდის 1 ან მეტ შეზღუდვას:

- ინფორმაციის ნაკლებობა ძირითადი განვითარების ან ვალიდაციის პროცესების შესახებ.
- დომენების ნარევი ერთი და იგივე ინსტრუმენტის ფარგლებში და შემაჯამებელი ქულები, რომლებიც დაფუძნებულია რამდენიმე დომენის ელემენტებზე. მაგალითად, ბევრი ინსტრუმენტი მოიცავს ძირითადად სიმპტომურ ან ფუნქციურ სტატუსს, რომლებიც შედის მთლიან ქულაში, რამდენიმე ელემენტით, რომლებიც აფასებენ პაციენტების პერსპექტივებს იმის თაობაზე, თუ როგორ მოქმედებს მათზე ეს პირობები.
